

გარეჯა – კონსტანტინოპოლი*

**თეოდორე გარეჯელის მიერ რომანას მონასტრის
ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი**

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში პ. შნეკინის კოლექციიდან შესულმა ქართულმა ოთხთავმა (Шук. 760) ამ რამდენიმე წლის წინ მოიქცია მოსკოველი მკვლევრების ყურადღება. ხელნაწერთა და მისი მოკვდილობის კოდიკოლოგიურ დახასიათებას, ისევე როგორც (ყალბულ მხატვრულ თავისებურებებს ე. დობრინინასა და ი. სტურლიგოვას ჩარკვევები მიუძღვნა¹. ამ პუბლიკაციებში კოდექსი შავი მთის მწიგნობრულ სკოლასთანაა დაკავშირებული. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გამოკვლევები სახარებას დართული ერცული და უადრესად საინტერესო ანდერძისა და სხვადასხვა პერიოდის მინაწერების გათვალისწინების გარეშე შესრულდა. ხელნაწერის თაობაზე საკმაოდ ხანია წყნის სამეცნიერო წრეებშიცაა ცნობილი, მაგრამ მის შესახებ, გარდა მხატვარ-რესტავრატორ ლ. სიხარულაძის ინფორმაციისა, ჯერ-ჯერობით არაფერი გამოქვეყნებულა².

ხელნაწერი პატარა ფორმატისაა: 198x148 (20x15 სმ). XIX საუკუნეში სახარება ოქროსი მოყარავებულა, და ეყვისფერ ტყავგადაკრულ ელაში ჩაუსვამთ, ხოლო ედის ორხავე მხარეს გადაუტანათ მოთქროვილი ეერცხლის ძეელი, ხელნაწერის შექმნის თანადროელი რელიეფური მოკვდილობა. ოთხთავის ედის ძეელი მოკვდილობა თავისი ხასიათით XI საუკუნის იმ ძეირფას ბიზანტიურ, დედაქალაქის ტიპის ხელნაწერთა რეგისაა, რომელმაც წყნამდე ერთეულებს სახით მოადწია. ედის 'სედა ფირფიტაზე (სურ. 1) ჯვარცქაა გამოსახული მოაფარანგელსებთან ერთად, შესაბამისი ბერძნული წარწერებით: ქვედაზე (სურ. 2), „ეედრების“ სვენა, პოსტამენტზე მდგომი ტახტზე დაბრძანებული მაცხოვართა და მოაფარანგელსებით³. უკანა ელაზე რელიეფების ბერძნული წარწერების გარდა, პოსტამენტზე განთავსებულია შემდეგი შინაარსის XI საუკუნის ასომთავრული ქართული საკტიტორო წარწერა:

† 1 1 1 1 | 1 1 1 1 | 1 1 1 1 | 1 1 1 1 | 1 1 1 1 †

ქრისტე, ადგილდე | აბაზ | და ძმანი | მისნი †

* წარმოდგენილ ჩარკვევს საყუქელად უდევს მოხსენება, წაკითხული საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ხესიაზე 2005 წლის 23 მაისს. წინამდებარე ჩარკვევი ჩაწილია კომლექსური, კოდექსური გამოკვლევისა, რომლის გამოქვეყნებაც ახლო მომავალშია განზრახული.

¹ Э. Добрынина, Неизвестная грузинская лицевая рукопись из Государственного Исторического Музея (Шук. 760). Хризограф, Сборник статей к юбилею Г. З. Быковой, Москва, 2003, გვ. 259-307; И. Стерлигова, Чеканный оклад грузинского Тетрасвангелия Государственного Исторического Музея (Шук. 760), იქვე, გვ. 308-320.

² ლ. სიხარულაძე, მოსკოვში დაცული XI საუკუნის ერთი ქართული „სახარების“ შესახებ, კავკასიის მაცნე, №10, 2004, გვ. 126-129.

³ ოთხთავის მოკვდილობისა და რელიეფებთან შესრულებული ბერძნული წარწერების შესახებ, იხილეთ – И. Стерлигова, დასახ. ნაშრომი, გვ. 308-320.

ხელნაწერი წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციისაა. იგი შესრულებულია ძალზე მაღალი ხარისხის, ხელმოწევით დამუშავებულ, თხელ, თეთრ ეტრატზე. ხელნაწერის გვერდების რაოდენობის თაობაზე მითითებულია თავად ხელნაწერის თავფურცელზე (ხურ. 3), იქ გამოსახული განუდლებული ჯერის ქვემოთ შესრულებულ XVII-XVIII საუკუნეების მხედრულ მინაწერში (ქ. არის<ა> : ესე სახარება : სამას : სამოცი : და : ცამეტი - f. 1v)⁴. ტექსტი ღია ყაფისფერი მეღნი, თანაბარი თანაუ დახრილი ნუსხურით, ორ ხეობადაა ნაწერი, უკანასკნელი გვერდების გამოკლებით, სადაც ანდერძია შესრულებული. ფურცლის კომპოზიცია თავისუფალია, ფართო აშოებითა და სვეტთაშორისი არეებით. ხელნაწერის გვერდების დაკანონვა ფაქიზადაა შესრულებული, ქვედა არესე დამატებითი ოთხი თარაზული ხაზით (მარგინალური ნიშნების მისათითებლად). სივრცეები დასმულია ყოველი რეაფურცლიანი რეგულის პირველ, ხელა და უკანასკნელი ფურცელის ქვედა აშის შუაში.

ხელნაწერის შემკვლობა რაფინირებულობითა და შესრულების მაღალი მხატვრული დონით გამოირჩევა. იგი მდიდრულადაა გაფორმებული კამარებით, მახარებელთა მინიატურებით, თავსართებითა და სახელაო ასოებით (ხურ. 4-8, 12, 15).

ოთხთაყის თავფურცელზე, XI საუკუნის ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორატიული სისტემის შესაბამისად, ეხებითის კარპიანესადმი წერილის ტექსტს (f. 2r-v) წინ უძღვის მხატვრულად დამუშავებულ ოთკუთხა თაღოვან ნარჩოში ჩასმული განუდლებული ჯერის გამოსახულება - პოსტამენტზე შედგმული ჯვარი ქვედა დაგრძელებული მელაგითა და ხელა თანაყარდი მელაგებით (f. 1v) მას მოსდევს ორნამენტირებულ სწორკუთხა ნარჩოში ჩასმული საძიებლები, ე.წ. კანონთა ტაბულები ანუ კამარები - ხელ თოთხმეტი (f. 3r-9v).

ხელნაწერი, ოთხთაყის თავების დასაწყისების ჩათვლით, მდიდრულად ორნამენტირებული თავსართებითაა გაფორმებული (f. 12, 16, 99, 102, 154, 159, 246), ხოლო ტექსტში მუხლის დასაწყისები უხეადაა გაფორმებული როგორც სინგურით გრაფიკულად გამოსახული, ასევე მოხატული სახელაო ასოებით. სახარების თითოეულ თავს შესაბამისად ახლავს მახარებელთა - მათეს (f. 15v), მარკოსის (f. 101v), ლუკასა (f. 158v) და იოანეს (f. 245v) მინიატურები. მახარებლების გამოსახულებები სრული რეგულის დამატებით ფურცელზეა შესრულებული და დამოუკიდებლად უნდა შეეტანათ ხელნაწერში, საეარაუდოდ, ხელნაწერის მოკვდილი ყდის შესრულების თანადროულად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ხელნაწერში დატოვებულია სუყთა ფურცლები, რომლებიც თავდაპირველად მინიატურებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი⁵. მჯდომარედ წარმოდგენილი მახარებლების მინიატურები წერტილებითა და ხაზებით შედგენილი ფარდაგისებური ორნამენტით შემკულ სწორკუთხა ნარჩოშია ჩასმული. ე. დობრინინას ახრით, ხელნაწერის მდიდრული ჭარბი დეკორატიული გაფორმება და საერთო მხატვრული სტილი ნაკლებად შეესაბამება მინიატურების ბრწყინვალე, მაგრამ შედარებით პაუროვან ფერებსა და სისადაეს. მისივე ეარაუდით, მინიატურები ბერძნული მხატვრული წრიდან უნდა იყოს, ისინი XI საუკუნის ბოლო შესამუდში უნდა შეესრულებინათ ერთ-ერთ იმ ცენტრალურ სკრიპტორიუმში, რომელიც ხელნაწერის მინიატურების მასობრივ დამზადებას ეწეოდა პერიფერიული რეგიონებისათვის. იგი არც იმის შესაძ-

⁴ ხელნაწერი აქამად შეიცავს 378 გვერდს. ეტრატზე შესრულებული კოდექსის დასაწყისი ორი და უკანასკნელი ფურცლები ქაღალდისაა. ისინი XIX საუკუნეში ოთხთაყის უკანასკნელი შემოსვის დროს უნდა დაემატებინათ. ამასე მიუთითებს XX საუკუნის დასაწყისის ჩანაწერი (f. 1), რომელიც ქ. შრუკინის კოლეჯის ადწერისას გაუკეთებიათ - „Листов 2+375+1. В. Щеркин. 15 декабря 1912 г.“ (Э. Добрынина, დასახ. ნაშრომი, გვ. 259, 304).

⁵ Э. Добрынина, დასახ. ნაშრომი, გვ. 265.

ბარანებათა (sic) ამათ მ(ი)ერ თ(ყ)ელისათა და მადლითა და მყოხებითა | თქ(უ)ეხ(ი)თა დაიციქით და დაიფარეთ სულიერად და ქორციელად მონაჲ თქ(უ)ენი აბაზ და | მძვლობათა მ(ინ)ა აკმარენ წ(მიდა)ჲ | ესე სახარებაჲ. თქ(ა)ენ ა(მ)ენ. |

ქრონიკისი იყო სე, ხ(ოლო) დასაზამთოგ(ა)ნი წელნი, რ(ომ)ელ გარდა | სრულ (ი)ქენეს, ხ(ო)ე.

როგორც ეს ანდერძიდან გაირკვა, სახარება გადაიწერა და მოიხატა 1070 წელს გარეჯელი ბერის თეოდორეს მიერ კონსტანტინოპოლის სანახებში, რომანას მონასტრის დმრთისმშობლის სახელობის სოხახტერში. რომელიც „მეგეთონა“-ს (ბერძ. τὸ μῆτρον - წარსინებული, დიდი) სახელით იწოდებოდა. ასევე ენობილი ხდება, რომ ხელნაწერი კახეთისა და ქერეთის მეფის, აღსართან I-ის ძმის, აბაზისთვის იქნა გადანიჭებული.

ხელნაწერი თარიღიანია. იგი დათარიღებულია ბიზანტიაში რომანოზ IV დეოგენის (1068-1071), ხოლო საქართველოში ბაგრატ IV-ის (1027-1072) და აღსართან I-ის (1058-1084) ხელბით. აგრეთვე წელთაღრიცხვის „დასაბამითგანის“ და „ქრონიკისის“ სისტემებით. გამოანგარიშებისას წელთაღრიცხვის სისტემებით დათარიღება იძლევა ორწლიან ვარიანტებს 1070/1072 წელს - „ქრონიკისის“ 290 (სე) მიმატებული მეკამეტე მოქცევის დასაწყის 780-თან (780+290=1070) მივიღებთ 1070 წელს, ხოლო „დასაბამითგანის“ 6676-ს (ხქოე) გამოკლებული ამოსავალი, იმ დროისათვის საქართველოში მიღებული 5604 წლიანი ერა, იძლევა 1072 (6676 - 5604=1072) წელს. უპირატესობა ქრონიკისის თარიღს, 1070 წელს უნდა მივანიჭოთ, რამდენადაც ანდერძში მოხსენიებული რომანოზ IV დეოგენი 1071 წელს გარდაიცვალა, რაც შეუძლებელია არ სცოდნოდა და არ აღენიშნა ანდერძში კონსტანტინოპოლში მოღვაწე მწიგნობარს.

საკმაოდ უართო და მრავლისმომცველია იმ საკითხების წრე, რომელსაც ხელნაწერის ეს ერთეული და შინაარსობრივად დატვირთული კოლოფონი წამოჭრის.

იმ დროისათვის, როდესაც ხელნაწერი დაიწერა რომანას მონასტერს უკვე რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქონდა. სამართლმადიდებლთა აღმოსავლეთ რეგიონებთან შედარებით ქრისტიანული დასაქმებით, კერძოდ კი, კონსტანტინეპოლი, შედარებით მოგვიანოდ, IX საუკუნიდან ექცევა ქართველთა სამოღვაწეო არეალში. ქართულ წერილობით წყაროებში სეულებრივ „მეორედ იერუსალიმად“, და „ახლისა პრომად“ სახელდებული კონსტანტინოპოლი პილიგრიმულ ცენტრად სწორედ ამ პერიოდიდან განიხილება. წმ. გრიგოლ ხანცთელის „ცხოვებაში“ კონსტანტინოპოლი იწოდება „ქრისტეს საკერპლედ, მეორედ იერუსალიმად“. დაახლოებით იმავე ხანებში, 869 წელს წმ. ილარიონ ქართველმა გარეჯელ მონაზონთან ერთად მოიღო(ვა კონსტანტინოპოლი, „დიდებული ესე ქალაქი, რომელსა შეუკრბიან სიმრავლენი ეოველთა წმინდათანი თავსა შორის თცხსა და გარემოსს ეოველთავე სანახებთა თცხთა“¹. ისიც ნიშანდობლივია, რომ სწორედ გარეჯის უდაბნოდან „ერთე დიდებისაგან“ ღტოლვილი წმ. ილარიონისა და მისი გარეჯელი მოწაფეების დასაქმეთ საქრისტიანოში - კონსტანტინოპოლში, რომსა და საბერძნეთში პილიგრიმობა და მოღვაწეობა იქცა ბიზანტიაში თანდათანობით გაძლიერებულ ქართველთა მკვიდრობის წინაპირობად, ხოლო თავად წმ. ილარიონი ახალ რომაულ-

¹ A Patristic Greek Lexicon, G. W. H. Lampe ed., Oxford, 1961, გვ. 837

² კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 341-353.

³ ცხოვება გრიგოლ ხანცთელისა ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I (V-X სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 265.

⁴ ცხოვებაჲ ილარიონ ქართველისაჲ. ძველი ქართულ აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II (XI-XV სს.), თბ., 1967, გვ. 21.

ბიზანტიურ იმპერიაში მათი დამკვიდრების წინამორბედად¹¹.

ასევე უშუალოდ წმ. ილარიონ ქართველის სახელს უკავშირდება კონსტანტინოპოლის მიდამოებში, ბოსფორის სრუტის ევროპულ ნაწილში, რომანად სახელდებულ დელის პირას მონასტრის დაარსება წმ. მიცვიქელთა სახელს¹². იგი ხოსთენის (სტენიას) წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის ახლოს იმპერატორ ბასილი I მაკედონელის (867-888) მიერ იქნა აგებული თესალონიკეში 875 წლის 19 ნოემბერს აღსრულებული წმ. ილარიონ ქართველის წმინდა ნაწილების დასახელებდა. წმ. მამის უღვებოში მოღვაწე ქართველი მოწაფეებისათვის¹³. როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ წყაროებში XI საუკუნეში კონსტანტინოპოლსა და მის სანახებში

¹¹ B. Martin-Hisard, *La Pègrination du moine géorgien Hilarion au IX siècle. Bedi Kartlisa, XXXIX (1981), გვ. 101-138; დ. კლდიაშვილი, გარეჯა და პილიგრიმობა ადრეული შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში. სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი, თბ., 2001, გვ. 88-97.*

¹² რ. ჯანინი, ანტონ ნოვგოროდელის (XII ს.) ცნობის საფუძველზე, რომანას მონასტრის ადგილმდებარეობას ბოსფორის სრუტის ევროპულ ნაწილში განსაზღვრავს, სანაპიროსთან მდებარე წმ. მიქაელ სოსთენიონის ეკლესიის მომიჯნავედ. ერთი მილის დაშორებით. წმ. დანიელ მესევეტისა და ნიკეის კრების მონაწილე 318 წმინდა მამის ეკლესიის მახლობლად, თანამედროვე ისტინიის (სტენიას) ადგილას (R. Janin, *La géographie ecclésiastique de l'empire Byzantin. Première partie. La siège de Constantinople et le patriarcat œcuménique, t. III, Les églises et les monastères, Paris, 1969, გვ. 256-257, 349*).

კონსტანტინოპოლის გზამკვლევით, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერაა შედგენილი, რომანას მონასტერი ბოსფორის სედა ნაწილში მდებარე სოფელ კურუ-ნესმეს მახლობლად შეიძლება ვივარაუდოთ. სოფლის სახელი – კურუ-ნესმე მშრალ ჭას აღნიშნავს. იგი ბოსფორში ნამაგალი პატარა დელის (საპარაუდოდ, იგივე რომანას დელე წმ. ილარიონის ცხოვრების მიხედვით – დ.კ.) პირას მდებარეობდა. ეს მცირე, დარბიული დასახლება, სადაც ებრაელთა, სომეხთა და ბერძენთა რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა, წმ. დიმიტრის სახელობის ეკლესიითა და იქვე, ბუნებრივ მღვიმეში, არსებული აიასმთა ყოფილა განთქმული; თავად კურუ-ნესმეს სეგანი კი წმ. დიმიტრის სახელითაც ყოფილა ცნობილი. სოფელთან ახლოს, ამდღებულ ადგილას, სომხური სასაფლაოს გვერდით, ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ქვით ნაგები ძველი ტაძრის ნაქალაქი, რომლის ახლოსაც უფლის ამადლების სახელზე ნარდახითა გადახურული აგურის აიასმა ყოფილა, ხოლო არც თუ შორს, პარკში წმ. ნიკოლოზის აიასმა. კურუ-ნესმედან ექვსასი ნაბიჯის დაშორებით მდებარეობდა ადბანური დასახლება არნაეთ-ქიუ, იქ მდებარე წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის მიხედვით, ბიზანტიური დროიდან „მიქაელიონად“ ანუ „უსხეულო ძალებად“ ცნობილი. წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია მდგარა ბაზრის მოედნის შუაში. გზამკვლევიში ეს ადგილი გაიგივებულია ესტიასთან (ოდესლაც იქ აღმართულ კერის ქალღმერთ ვესტას წარმართული ტაძრის მიხედვით) – *Путеводитель по Константинополю. Описание замечательных и святых мест, Одесса, 1884, გვ. 114-116*. რომანას მონასტერი შეიძლება გავაიგივოთ კურუ-ნესმეში სომხურ სასაფლაოსთან არსებულ ტაძრის ნაშთებთან. რაც შეეხება სახელი სტენია/ისტინიას წარმომადეობას, შესაძლებელია, იგი უკავშირდებოდა მიწათმოქმედების ქალღმერთ დემეტრასთან დაკავშირებულ დღესასწაულს სტენია-ს (ბერძნული და რომაული საკეთარი სახელების ეთნოგრაფიული დექსიკონი, შეადინა ს. გიგინეიშვილმა, თბ., 1985, გვ. 91), მითუმეტეს თუ გაეითვალისწინებთ რუსული გზამკვლევის ცნობას კურუ-ნესმეს სეგანის წმ. დიმიტრის სახელით წოდების შესახებ. ბოლო ხანებში რომანას მონასტრის ადგილმდებარეობას იკვლევს რ. შენგელია. იგი 2004-2005 წლებში რამდენჯერმე იმყოფებოდა სტამბულში, რის შედეგადაც საგულისხმო მასალებს მოუყარა თავი (იხ. რ. შენგელია, ქართველთა რომანას მონასტერი, *ომეგა*, №2(52), 2004, გვ. 15-21).

¹³ ცხოვრება ილარიონ ქართველისა, გვ. 32-36; ცხოვრება და მოქალაქობა ილარიონ ახლისა. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III (მეტაფრასული რელაქციები XI-XIII სს.), ი. აბულაძის რედ., თბ., 1971, გვ. 243-245.

ბასილი მაკედონელის ცხოვრებაში, მიქაელ სოსთენიონის ეკლესია ბასილი I-ის მიერ აღდგენილ იმ ეკლესია-მონასტრების გრძელ სამონასტრო დასახლებაში იხსენიება, რომელიც IX საუკუნეში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ დაანგრია. (C. Mango, *The Art of the Byzantine Empire, 312-1453 (Sources and Documents)*, Englewood-Cliffs, NJ., 1972, გვ. 199-77; R. Janin, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 348.)

ქართველთა მკვლევართაში რამდენიმე დიდი თუ მცირე მონასტრის სახელია დადასტურებული¹⁴, რომელთაგან უოგიერთი, შესაძლოა, რომანას მეტოქსაც კი წარმოადგენდა. ნიშანდობლივია, რომ კონსტანტინოპოლში, რომანას მოსახელე, საყოველთაოდ ცნობილი ასევე წმ. მოციქულთა სახელობის ტაძარზე საუბრისას ანნა კომნენე აღნიშნავდა, რომ მამამისმა, მარიამ დედოფლის შეიღობილმა, ალექსი I კომნენოსმა (1081-1118) დიდი ზრუნვა გამოიჩინა წმ. მოციქულთა ტაძარში „დაბინაებულ იბერიელი მოღონების შიშართ, რომლებიც ახლდნენ. ხოლო მათ მიმართ გამოსწავლილი მამანემის მზრუნველობით აიგო დიდი მონასტერი, სადაც მათ სმა-ჭამა და ნაცმა-დახურვა უზრუნველყოფილი აქონდათ“¹⁵. საეარაუდოა, რომ ათონის ივერთა მონასტრის მსგავსად, რომანა და მისი მეტოქი ცალკეული სოხასტერები ბიზანტიის იმპერატორების მიხედვით VII დუკას (1071-1078), ხოლო შემდეგ, ნიკიფორე III ბოტანიატეს (1078-1081) მეუღლის, ბაგრატ IV-ის ასულის, დედოფალ მარიამ მართა-ყოფილის განსაკუთრებული მზრუნველობისა და პატრონობის ქვეშ იყო. ამის მინიშნებად შეიძლება საითეალოს რომანას ანაწმინდას სოხასტერში გადაწესებული ხელნაწერის (A-134) დასათარიღებლად ცალკეული ფაქტების აღნიშვნა დედოფლის ცხოვრებიდან, თუნდაც მართა დედოფლის სამეფოში (საქართველოში) ყოფნა¹⁶.

რომანას მონასტერი საუკუნეთა განმავლობაში ბიზანტიაში ქართველთა მნიშვნელოვან სასულიერო და სამწიგნობრო კერას წარმოადგენდა, სადაც ხელნაწერის გადაწესება-გამრავლებასთან ერთად ლიტურგურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ. სწორედ რომანას მონასტერში, ან, შესაძლოა, ერთ-ერთ მის სოხასტერშიც კი, ბასილი I მაკედონელის ბრძანებით, პროტოასიკრიტიისა და ფილოსოფოსის, ბასილი მონაზონის მიერ, წმ. მამის მოწაფეების, კერძოდ კი ისაკის მონათხრობის საფუძველზე დაიწერა წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება¹⁷. რომანაში საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა უნდა არსებებოდა, რომლის საცავშიც მონასტრის ადგილობრივ სკრიპტორიუმებში (ასეთი მას რამდენიმე უნდა აქონდა) გადაწესებული ხელნაწერების გარდა, შეწირულების გზით მიღებული წიგნებიც ინახებოდა. წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრებიდან ვიცით, რომ ჯერ კიდევ IX საუკუნეში იმპერატორმა ბასილი I-მა მაკედონელმა ახლადგებულ ქართველთა მონასტერს უბოძა სახარება და სამოციქულო¹⁸. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესო ნაწი მონაქვის კოდექსში, საეარაუდოდ, ტექსტის ხელთ შესრულებული ერთ-ერთი მინაწერი, სადაც ახლდაწერილ წიგნებზეა საუბარი (311r).

ინტენსიური და ფართო უნდა ყოფილიყო იმ კულტურული კავშირის გეოგრაფია, რომელიც რომანას მონასტრის მწიგნობრებს აქონდათ საქართველოს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართულ სამონასტრო კერებთან. ეს კავშირები კონსტანტინოპოლის, შაჟი მთისა და ათონის სკრიპტორიუმებთან თვალნათლივ წარმონსდება იმ ცნობების საფუძველზე, რომელიც ამ პერიოდის აგიოგრაფიულ ძეგლებსა და ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერებს შემოუნახავს. მჭიდრო კავშირმა, რომელიც გარეჯის მრავალმთის მონასტრებსა და კონსტანტინოპოლის სანახებში მღებარე რომანას მონასტერს შორის თავიდანვე უნდა დამყარებულიყო.

¹⁴ ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 183-185; ელ. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996, გვ. 145-195.

¹⁵ ანნა კომნენე, „ალექსიადა“. გეორგიკა, ბიზანტიული მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1966, გვ. 110.

¹⁶ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I, ელ. მეტრეველის რედ., თბ., 1976, გვ. 151-154.

¹⁷ ცხოვრება ილარიონ ქართველისა, გვ. 37; ცხოვრება ილარიონ ახლისა, გვ. 247-248.

¹⁸ იქვე.

ბუნებრივია, გაგრძელება შემდგომ საუკუნეებშიც კი. ამის დამადასტურებელია მოსკოვის ხელნაწერი, რომელიც მთაწარანელო-ნელი-ყოფილი თეოდორე გარეჯელის მიერ ბიზანტიელთა ხამსახურში მყოფი კახეთისა და პერეთის სამეფო ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენლისათვისაა გადახუხული კონსტანტინოპოლის სანახებში მდებარე რომანას მონასტრის ერთ-ერთი სოხასტერიის სკრიპტორიუმში. რომანას ქართულთა მონასტრის სკრიპტორიუმები ბოლო ხანებამდე იქ შექმნილი XI და XII საუკუნეების მიწურულის ქართული ხელნაწერი წიგნის ორი ნუსხით იყო ცნობილი. ერთ-ერთი მათგანი, 1066 წლით დათარიღებული წმ. ეფთვიმე მთაწმიდელის თარგმანების შემცველი იოანე სინელის „კლემაქსად“ წოდებული კრებული (A-134), პრომანაელი ქართველი წინამძღვრის, მამა გელასის მომკვებლობით სიმეონ დვალის მიერ პრომანას წმინდა მოციქულთა საყდრისათვის იქნა გადახუხული. კოლოფონის კრულობით ნაწილში მონასტრის წინამძღვარი, მამა გელასი წყევლასა და შესვენებას უთვლის ეველა იმას, ვინც ხელნაწერს პარვის, თხოვნისა თუ მძღაერობის გზით გაიტანდა წმ. მოციქულთა საყდრიდან. ეს ნუსხა მოსკოვის ქართულ კოდექსზე ხელ რადაც თახი წლით ადრე იქნა დაწერილი „სოხასტერსა შინა პრომანასისა, ანა-წმიდას, მეუობასა დოკისასა, მას კამსა, თდეს ბაგრატის ასული მართა სამეფოსა იყო, ქრინიკონსა სპე“ (A-134, 296r-v)¹⁹. ჩიშანდობლივია, რომ იმავე სუბონ დვალსეუ უკავშირდება შავ მთაზე XI საუკუნის შეახანებში წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქციის ორი შესანიშნავი თახათვის – ალავერდის (A-484)²⁰ და ვატიკანის (Vaticano iberico 1)²¹ კოდექსების შექმნა (სურ. 10-11, 13-14, 16-17). ეს ის ნუსხებია, რომლებსაც წარმომადგენლობით და დეკორატიული გაფორმების საერთო პრინციპებით, ქართულ-ბერძნულ თახათავთა (ხო, A-484; Sinai. gr. 158; Vat. iber. I; Athens. gr. 76) იმ წრეში აერთიანებენ, რომელსაც მოსკოვის კოდექსიც მიეკუთვნება²². წინაპირება ამ ჯგუფის ხელნაწერთა რედაქციული და მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით მსგავსებისა, იმ მკიდრო კულტურული კავშირებში უნდა ექსოოდ, რომელიც ვადკეულ სამწიგნობრო-საგანმანათლებლო კერებს, უპირველეს ყოვლისა კი კონსტანტინოპოლის, ტაო-კლარჯეთის, შავი მთისა და ათონის სამონასტრო სკრიპტორიუმებს შორის ითვალისწინებდა შემოქმედებითი სიახლეების, თავად მწიგნობრებისა და ხელნაწერების თავისუფალ მოგზაურობასა და გადაადგილებას. იგივე აზრამდე მიიყვანა ამ ჯგუფის ხელნაწერების ტექსტობრივ-რედაქციული თვალსაზრისით შეჯერებამ ბ. უტიე, რომელიც ამითვე ხსნის იმას, თუ რა ძალიან შეაძლებინა ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებს ნაეტარებისათ წარმოუდგენლად დიდი ლიტერატურული და მთარგმნელობითი მუშაობა²³.

კონსტანტინოპოლში ქართული კულტურის მძღავერ ცენტრად ნახს პრომანას მონასტერი XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე, იმ დროს, როცა იქ იქმნება ქართული ხელნაწერი წიგნის ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე ნიმუში – თამარ მეფისათვის განკუთვნილი ეანის სამეფო თახათავი (A-1335), რომელიც ნიმუშს წარმოადგენს

¹⁹ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (A), 12, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს თ. ბრეგვალი, ც. კახაბრიშვილი, თ. მგალობლიშვილი, მ. ქავთარიამ, დ. ქუთათელაძე და დ. ჯღა-მაია, თბ., 1976, გვ. 29.

²⁰ ე. მეტრეველი, შავი მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის I ნახევარში. საქართველოს მეცნიერების მოამბე, ტ. XX-B, თბ., 1959, გვ. 89; V. Djobadze, Materials for the Study of Georgian Monasteries in the Western Environs of Antioch on the Orontes, Corpus Scriptorum Christianorum Orientalium, vol. 372 (48), Louvain, 1976, გვ. 12-20.

²¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფორთოყა, Vat. iber. I (Rt. XXIX, N2); ბ. უტიე, ევსევის ეპისტოლისა და სახარების „სასწავლებლის“ უძველესი ქართული ევრსიები, მრავალთავი, XVII, თბ., 1992, გვ. 119.

²² Э. Добрынина, დასახ. ნაშრომი, გვ. 260-264.

²³ ბ. უტიე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

როგორც ტექსტობრივი, ისე მხატვრული გაფორმების თეატრალური და სხვა სახის დაბსკაღდისა (სეანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი) და ართეიანი/ენშიაძინის (ხელნაწერთა ინსტიტუტი, RT XIX) მდიდრულად შემკული კოლექციებისათვის²⁴. ოქრომკლნით ნაწერი, ყვრადი თავსამკაულებით, კამარებითა და მინიატურებით შემკული სამეფო კოლექსი ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფებისა და დეკორატორ-მინიატურისტების ერთობლივი ძალისხმევით ნახს შექმნილი. ოთხთაეის ქართული და ბერძნული კოლოფონების თანახმად, იგი გადანუსხულია თამარის მლოცველის, იოვანე საპყარის, ხოლო მოხატულია, ბერძენი ოსტატის, ოქროთმწერელ მიქაელ კორესელის მიერ²⁵.

ამდენად, ნეენს ხელთაა რომანას მოციქულთა სახელობის ქართველთა მონასტერში შექმნილი სამი ხელნაწერი, რომელთაგან ორი, 1066, 1070 წლებში ანა-წმიდას და მეგეთონას ღმრთისმშობლის სოხასტერებშია გადანუსხული. ცნობილია, რომ სასლვარგარეთ არსებულ დიდ ქართულ მონასტრებში ქართული ხელნაწერების შექმნა და გამრავლება ძირითადად მონასტრის მოშორებით მდებარე სოხასტერებში (სენაკებში) მიმდინარეობდა²⁶. რომანას ქართველთა მონასტერს ასეთი სოხასტერები და მეტოქები, როგორც თავად კონსტანტინოპოლში, ისე მის სანახებში აღრინდავე უნდა აქონოდა. წმ. ილარიონ ქართველის „ცხოვებაში“, სადაც საკმაოდ დიდი ადგილი უხება რომანას მონასტერში ბასილი I მაკედონელის მიერ წმ. მიქელ სოხაენის ეკლესიის ახლოს, რომანას ღელეში წმ. ილარიონის წმინდა ნაწილების დასახსმელად აგებულ მოციქულთა სახელობის ტაძრის სატფურებასა და განგებას, აღნიშნულია, რომ ბასილი I-მა რომანას სხვა მუწირულელებსთან ერთად, „გარემოს მონასტრისა ტყენი და სამეფოსა ქალაქს შინა მეტოქნი გამოსაზრდელად მათდა უბოძა“²⁷. ამას გარდა, იმპერატორმა „აღაშენა სენაკი სამონოსნო მონასტერსა მას წმიდასა და დადგა მას შინა ტახტი და საგებელი და დადგა მონასტერსა მას შინა წმიდას სახარებას და წიგნი სამოციქულოს. მიყრითგან უკუე აღვიდის რად, მუნ დაყვის მან ორი ვინა სამი დღე“²⁸. რომანაში ბისანტიური ტიპის კეინობიტური/კინოვიტური მონასტერია²⁹ საყარაუდებელი, რომლის მოშორებითაც მდებარე სოხასტერებში მცხოვრები ბერები მწიგნობრულ საქმნიანობას ეწეოდნენ. კონსტანტინოპოლის სანახებში რომანას მონასტრის ნეენთეის ცნობილი – ანა-წმიდასა და მეგეთონას ღმრთისმშობლის სახელით ცნობილი სოხასტერების ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ დასაწუსტებელია და შემდგომ კვლევას მოითხოვს.

რომანას მონასტრის მეგეთონას ღმრთისმშობლის სოხასტერში დამზადებული ოთხთაეის კალიგრაფისა და მომხატველის ეინაობის შესახებ ხელნაწერის ანდურძიდან ვიგებთ. როგორც ირკვევა, ხელნაწერის გადამწერი და მომხატველი ერთი პირია, მთავარანგელოსეულ-ყოფილი თეოდორე გარეჯელი. იგი საკმაოდ

²⁴ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. (A კოლექციის). შუადგინა ქრისტინე შარაშიძემ, IV, თბ., 1954, გვ. 407-410; ე. მაჭავარიანი, ვანის ოთხთაეის (A-1135) ახლად აღმოჩენილი პირი. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, III, 1961, გვ. 141-154; მისივე, დაფსკაღდის ოთხთაეი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბ., გვ. 145, 146; ც. ჭანიკვი, ვანის, დაბსკაღდისა და ეშიაძინის ოთხთაეითა მიმართულებისათვის, მრავალთაეი, თბ., 1975, გვ. 5-6.

²⁵ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 161-166; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1971, გვ. 279-280.

²⁶ ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163-164.

²⁷ ცხოვებათ ილარიონ ქართველისა, გვ. 245.

²⁸ იქვე, 247.

²⁹ ა. აღექსიძე, ათონი ათასწლოვანდ, თბ., 1982, 26-27; ე. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 163-164; თ. ცურაძე, სამონასტრო ცხოვრება და განსწავლა ქრისტიანულ ასკეზაში. მრავალთაეი, XIX, თბ., 2001, გვ. 146-148.

მაღალკვალიფიციური კალიგრაფ-დეკორატორი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ხელნაწერის გადახეხვის გარდა, მხატვრულად სრულად შეუმკია სახარება: „სრული ყოვლითავე ფერთა თაქიდისა გამართოთა სახარებთთაგან, კამარანი თქრამელნითა, ასომთაჲარი ყოველი შემკობილი, სახლუკი და განთხუელი სრული და მართად და ყოვლითურთ უცთომელი ხადიებელი ხუნაქსით, რომელი უსრულებს ყოველსავე წელიწდისა სახარებისა თუთყულისა დდისასა, რომელ სახარებისათჳს ხსუად წიგნი არ იხმარების.“ ანდერძის თანახმად, თეოდორე გარეჯელი, რომელიც კახეთისა და რანთა მეფის აღსართან I-ის უმცროსი ძის, აბაზის გამსრდელი და სულეირი მამა ყოფილა, მას ბიზანტიაში თან უნდა გაყოლოდა. ანდერძში თეოდორე გარეჯელი მთავარანგელოზ-ყოფილად იწოდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი თავდაპირველად გარეჯის მრავალმთაში, ხოლო შემდეგ რომანას მონასტრის სიახლოვეს, მის მთმოხნავედ მდებარე სოხაიხის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარში მოღვაწეობდა. ბოსფორის სანაპიროზე მდებარე ეს ტაძარი, როგორც ვარაუდობენ, სწორედ XI საუკუნიდან, ბასილი II ბულგართმშუსხერელის (†1025), ხოლო XII საუკუნის მიწურულს, ისაკ II-ის (1185-1204) ხეობაში, საიმპერატორო სახლის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ ექცევა და ღაყრად ეადიდება¹⁰. მოგვიანებით მთავარანგელოზ-ყოფილი თეოდორე გარეჯელი სწორედ რომანის მონასტრის მეგვითნად სახელდებულ სოხასტერის სერიპტორიუმში ქმნის ქართული წიგნის ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს. მოსკოვის კოდექს. საყარაულო, არაპირდაპირი კვალი თეოდორე გარეჯელის შესახებ, შემორჩენილი ჩანს როგორც რომანაში, ისე გარეჯშიც. უპირველეს ყოვლისა, დავასახელებ სვენი ხელნაწერის გადაწერამდე სულ რამდენიმე წლით ადრე, 1066 წელს რომანას მონასტრის ანაწმინდას მონასტერში გადაწერილ კრებულს, რომლის 22 რ-ზე შესრულებული ანსინური ტიპის კრიპტოგრაფია ეინმე თეოდორეს მოხასხენებელს წარმოადგენს – ქრისტე შ(ეიწყაღ)ე თ(ეოდორ)ე ა(მე)ნ თ(ე)ა. დ. ათახელიშვილის დაკვირვებით, კრიპტოგრაფია ხელნაწერის დამწერის, სეიმონ დვალის მიერ აბსაჯის ბოდოს საკუთრივ ტექსტშია ჩაწერილი¹¹. თეოდორეს მოხასხენებლის ჩართვა სეიმონ დვალის მიერ კრებულის ძირითად ტექსტში, ბუნებრივია, იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მონაწილეობას ამ კრებულის (A-134) შექმნაში იღებდა თეოდორეც, რომელიც უპირველეს ყოვლისა რომანაში იმ დროისათვის მოღვაწე თეოდორე გარეჯელთან შეიძლება გაეაიგივოს.

რაც შეეხება გარეჯას კოდექსის მომგებელ კახეთის მმართველ კვირიკიანებთან არის სავარაუდოდ გაიგივებული საქტიტორო გამოსახულებების რიგი, რომელსაც უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიაშია წარმოდგენილი¹². ეინმე თეოდორეს კვალი ასევე ჩანს გარეჯის მრავალმთის მრავალწყაროს უდაბნოს ერთ-ერთი გამოქვაბული ეკლესიის XI საუკუნით დათარიღებულ საეკლესიო ხასიათის ორ გრაფიკში¹³. კიდურწერტილოვანი ასომთავრული წარწერის პალეოგრაფიული

¹⁰ R. Jannin, დასახ. ნაშრომი, გვ. 348.

¹¹ ლ. ათახელიშვილი, ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბ., 1982, გვ. 180.

¹² ს. სხირტლაძე, ქტიტოროთა გამოსახულებები უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში, სტატია კორპუსისათვის – ისტორია სახეებში, ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში.

¹³ წარწერა ამოკითხულ იქნა აეტორის მიერ ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის – „გარეჯის მრავალმთის მონასტრები. დასავლეთი მასივის გამოქვაბული მონასტრების არქიტექტურის, კედლისმხატვრობისა და ეპიგრაფიკის სრული ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია“ განხორციელების დროს. იმხანადვე შესრულდა წარწერის გრაფიკული მონახაზი (მოკლე ანგარიში გამოქვეყნებულია კრებულში: ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პროგრამა – 1977, თბ., 1978, გვ. 40-49, სურ. 39-49 (ანოტაციებით).

მხარე და პროექციული ხასიათი, ხოლო ერთ-ერთ მათგანში კიდურწერტილოვანი ასომთავრულის გამოყენება, აშკარად მიუთითებს, რომ მათი დამწერი საკმაოდ გაწაფული კალიგრაფია. რასაკვირველია, წარწერის დამწერთან ხეივანი თეოდორე გარეჯელის გათვითქმედა საკმაოდ ძნელია. მაგრამ ფაქტის აღნიშვნა მაინც საჭიროა, მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკები გარეჯიდანაა, ამასთანავე ამ ორი გარეჯელი კალიგრაფის მოღვაწეობის პერიოდს თანხედება ერთმანეთს.

ხელნაწერი გადახეხსულია 1070 წელს საბერძნეთში დეოგენესის (რომანოზ IV დეოგენი, 1068-1071), საქართველოში – აფხაზთა და ქართველთა მეფის ბაგრატ IV, 1027-1072) ხელისა და მისი ძის, გიორგი (შემდგომში გიორგი II, 1072-1089) კურაპალატის, ხოლო რანსა და კახეთში – ხსართანან (აღსართან I, 1058-1084) კურაპალატისა და მისი ძმების თანამეფობისას. კოლოფონი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის XI საუკუნის მეორე ნახევრის რანთა და კახთა სამეფოს მმართველი კვირიკიანთა დინასტიის ცალკეულ წარმომადგენლებზე – სულკურთხეულ მეფე ვაგიკზე და მის ხუთ ძესზე: მეფე ხსართან კურაპალატზე, ფადლაზე, კვრიკეზე, რედისაზე და აბაზზე. მათი ასაკის ზუსტი მითითებით: ბიზანტიაში ამ საგვარეულოს მიერ მიღებულ სამოხელეო თანამდებობებსა თუ წოდებებზე, აღმსარებლობისა და კულტურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის თაობაზე, ეს ის პერიოდია, როცა რანთა და კახთა სამეფო ტახტზე კვირიკე III დიდის (1009-1037) უშვილოდ გარდაცვალების შემდეგ, მისი დისშვილი, ლორეს კვირიკიანების ერთ-ერთი შტოს, ტაშირ-ხორაგერტის მეფის დაეით ანკლინის უმცროსი ვაჟი, ვაგიკ I (1037-1058) მკვიდრდება. კვირიკიანთა 67 წლიანი მმართველობის პერიოდში აფხაზთა და ქართველთა მეფეები (ბაგრატ IV, გიორგი II, დაეით IV აღმაშენებელი) შეუძლიარ ბრძოლას აწარმოებდნენ საქართველოს გასაერთიანებლად, რაც უპირველეს ყოვლისა, კახეთისა და რანის ადგილობრივი სამეფო ხელისუფლების გაუქმებას ითვალისწინებდა. მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ამ პროცესს წარმომავლობით ერთი ოჯახის კუთვნილი მეფეების, კახეთ-რანისა და ტაშირ-ხორაგერტის სამეფოების იმ დროინდელ მმართველ კვირიკიან ბაგრატუნების წინააღმდეგობა თავიანთი სამეფოების დამოუკიდებლობის დასაცავად, რასაც სხვა ხელისშემშლელი გარემოებებიც ერთოდა. საქართველოს გაერთიანების წარმატებით დაგვირგვინების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი იყო – XI საუკუნის 40-ანი წლებიდან ბაღეაშთა სახლსა და ბაგრატ IV-ს შორის მიმდინარე ბრძოლა და ბიზანტიელთა მხარდაჭერა ცენტრიდანული ძალებისადმი, თბილისის დამოუკიდებელი საამიროს არსებობა, ასევე გადამწყვეტი როლი შეასრულა საგარეო საფრთხემ, რომელიც იმ დროისათვის ბიზანტიურ სამყაროსა და სამხრეთ კავკასიას თურქ-სელჯუკთა სახით მოეყვინა²⁴.

თეოდორე გარეჯელის სულიერი შვილი, აბაზი ანდერძში გარდაცვლილად (სულკურთხეულად) მოხსენიებული ვაგიკ მეფის უმცროს ვაჟად არის დასახელებული. საეურადღებოა, რომ 27 (კზ) წლის აბაზი, ძმებთან ერთად, გამოცხადებულია უფროსი ძმის, კახთა და რანთა მეფის აღსართან (I, 1058-1084) კურაპალატის თანამეფედ. მას თეოდორე გარეჯელი „ჭაბუკსა“²⁵ და „ბრწყინვალე მეფეს“ უწოდებს:

²⁴ თ. კაპუაშვილი, რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.), თბ., 1982, გვ. 217-252; Г. Мкртычян, Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией, Ер., 1983, გვ. 109-142.

²⁵ კ. კეკელიძის დაკვირვებით, „ჭაბუკი“ ძველად სამი მნიშვნელობით იხმარებოდა: IX-X საუკუნეებში ის აღნიშნავდა: ადამიანის ასაკს – ახალგაზრდობას და, ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვობასაც; არისტოკრატიულ წარმოშობას საზოგადოდ, ხოლო XI-სა და შემდგომ საუკუნეებში მას პროფესიული რაინდის მნიშვნელობაც მიეცა. ამ შემთხვევაში იგი ასაკის მაჩვენებელი უნდა იყოს (კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIV, თბ., 1986, გვ. 77-79).

ანდერძით, იგი იმაედროულად ბიზანტიელთა სამსახურში იმყოფება და არკადიპოლისის მთავარია. არკადიპოლისი (დღევანდელი Lüleburgaz) ადრებიზანტიური ხანიდან მოკიდებული თრაკიაში შემავალი ექვსი პროვინციიდან, ერთ-ერთიში – ევროპაში შედიოდა (პროვინცია მოიცავდა კონსტანტინოპოლის შემოგარენს, ბოსფორის სრუტის შესახელეკლიდან პელესპონტამდე, ე.ი. თრაკიის შაეიზღვისპირა ნაწილს ქალაქ ბიზიუმდე, რომელიც მცირე პეიმოსის მთისძირში მდებარეობდა)³⁶. ბიზანტიაში მეოფი კეირიკიანთა სამეფო ოჯახის უმცროსი ვაჟი, აბაზი ბიზანტიის ევროპის პროვინციაში, თრაკიაში მდებარე არკადიპოლისის მთავარად გვევლინება, მაშინ როცა მის ძმას, კახეთისა და რანთა მეფეს, აღსართან I-ს ბიზანტიელები კურაპალატის ტიტულით აჯილდოებენ. ეს კარგად ნაცადი იმპერიული პოლიტიკაა, როცა მოწინააღმდეგეებს, ამ შემთხვევაში ხუუსურენსა და ქეუსეურდომს – ერთის მხრივ, აფხაზთა და ქართველთა მეფე ბაგრატ IV-სა და მის ძეს, გიორგი II-ს, ხილთა, მეორე მხრივ, ტაშირ-სორაკერტის მეფეს, კეირიკე I-ს და კახთა და რანთა მეფეებს: კეირიკე III-ს (1009-1037) და მის მემკვიდრეს (ქალის ხაზით), გავიკ I-ის ძეს, აღსართან I-ს, თანაბარ პატიუს, კურაპალატისა და მაგისტროსის ტიტულებს ანიჭებენ³⁷. დაპურობილი თუ გაეღენის ადგილებიდან (საქართველო-სომხეთიდან) დიდგვარიანთა მოქროამგვა-მოსეიდუა, მათთუის ბიზანტიის იმპერიის იერარქიაში სხვადასხვა საკარისკაცო ტიტულების ბოპება, მათი კონსტანტინოპოლსა და იმპერიის სხვადასხვა ადგილებში დიდ სამოხელეო თანამდებობებზე დანიშუნა ის ხერხები იყო. რასაც მოხერხებულად იყენებდა ბიზანტია როგორც ცალკეული პირების მოხაზიდად, ისე გარკეეული სიტუაციების თავის სასარგებლოდ გადასაწვეეტად³⁸.

აბაზის მომავალი ბედის შესახებ ცნობა სეეასტოსისა და დასაეღვთის დიდი დომესტიკოსის გრიგოლ ბაკურიანის ძის პეტრიწონის მონასტრისათუის 1083 წელს დაღებულმა ტიპიკონმა შემოინახა. ტიპიკონის მეორე თაეში, „შესაწირაეთათუს და ძღუენთა და ადგილთა, რომელნი მიეცნეს და დაისხნეს ეკლესიასა ამას“, პეტრიწონისათუის შეწირულ ადგილ-მამულს შორის ეოღეურონის თემში დასახელებულია პერითორის ციხის შიგნით აეღინი (კარმიღამო), რომელიც გრიგოლ და აბაზ ბაკურიანების სიძის, ახსართანის ძმის, აბაზის მფლობელობაში ეოფილა („ეგრეთეე პერიტორისა ციხესა შიგნით აეღინი, რომელი აბაზს, ახსართანის ძმას, სიძესა ჩუენსა, ქეონდა, მითეე ეოფილთა შენებულეებითა და ნაქონებითა“)³⁹. აქედან გამომდინარე შეიძლება ეოფიქროთ, რომ აბაზი იყო ძმები ბაკურიანის ძეების, გრიგოლისა და აბაზის, დის ქმარი. ამასთან დაკაეშირებით ძაღაუნებურად გახსენდება გრიგოლის სეედანარეეი მონათხრობი, როცა ძმებს მამა უღროოდ გარღაეცვალათ და დეღამ ადგილ-მამული და ქონება უმთაერესად ქალიშვილებს, მათ დებს მისცა მსიოეად. გრიგოლის თქმით, დეღამ ძმები „შიშეულნი დაგკტეუნა ეოფლისაგან მამულისა და დეღულისაგანცა საჭმრისა. და დანი სეუნნი [სიოეითა] მათითურთ წარვიღეს ქმართა [მათთა და] განიბნინეს სხუათა და სხუათა შინა [სოფელთა და მ]უნ წარაგეს ეოფელი“⁴⁰. საეარაუღოდ, მოსკოვის ოთხთაეის

³⁶ The Greeks and the Black Sea From the Bronze Age to the early twentieth century, Marianna Koronila Contributions by A. Alexidze, O. Lordkipanidze, A. Ballian, L. Polychronidou-Loukopoulou, P. N. Protonotarios, Athens, 2002, გვ. 163, 388.

³⁷ კახთა და რანთა მეფეების მიერ მიღებული ბიზანტიური ტიტულების შესახებ იხ. ვ. გაგო-შიძე, კიდეე ერთხელ „კეირიკეს ჯერის“ შესახებ, საქართველოს სიძეულენი, №№4-5, თბ., 2003, გვ. 100-114.

³⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბ., 1979, გვ. 77; Культура Византии, вторая половина VII-XII в., Москва, 1989, გვ. 248-251.

³⁹ ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. თხზულებანი, ტ. IX, თბ., 1986, გვ. 65 (თაეი 2).

⁴⁰ იქვე, გვ. 95 (თაეი 18).

„ბრწვინვალე მეფე“ და არკადიპოლისის მთავარი აბა'ხი უნდა იყოს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეების ერთ-ერთი იმ გამწითელებული დის ქმარი, რომელიც პეტრიწონის ტიპიკონში გრიგოლის სიძულე იწოდება. შეიძლება გამოითქვას წინასწარი ვარაუდი კახეთის პირველი მეფის, კვირიკე III-ის კუთვნილად მიჩნეული (ბერძნულ და ქართულ წარწერებში იხსენიება მეფედ და მაგისტროსად) იმ სანაწილე ჯვარის თაობაზეც, რომელიც ხახულის კარედსუა მოთავსებული. ბოლო დროს გ. გაგოშიძის მიერ გამოთქმული თეაღსასრისით, „ჯვარი კახეთის ერთ-ერთი კვირიკე მეფის პირადი ნივთი იყო და იგი, როგორც ჩანს, ერწუხის ომის (1104-1105 წწ.) შემდგომ მოხვდა გელათში. ეს ჯვარი დაეთმო აღმაშენებლის „ხმლით მოგებულნი“ ნივთი უნდა ყოფილიყო, რომელიც კახეთ-პერეთის შემოერთების შემდგომ დაეთმო ხახულის ღმრთისმშობლის სასწაულმოქმედ ხატს შესწირა“⁴¹. ამგვარი ვარაუდისას უთუოდ უსწეულო და დამაფიქრებელი ჩანს თეაღსასრისი, რომ კახეთის შემოერთების შემდეგ ხახულის კარედ ხატზე განათავსეს დაეთმო აღმაშენებლის ნააღაუევი ჯვარი კვირიკე მეფის განსაღიდებელი ქართული და ბერძნული წარწერებით.

შესაძლოა გამოითქვას განსხვავებული ვარაუდიც. გამორიცხული არაა, მეღაღიანი კვირიკიანთა მიერ ბაკურიანებთან დანათესავების შემდგომ იქნა შეწირული ხახულის ღმრთისმშობლისადმი, რომელიც მოგვიანოდ, როგორც შეწირული ნივთი, ხახულის კარედის მოკედლიობაზე მოხვდა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ისიც, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონში აღნიშნულია ბაკურიანის ძეების მიერ მათ მამულში, ტაოში ხახულის ღმრთისმშობლისათვის ბოძებული სამკაულის თაობაზე („ოქრობეკლდი ერთი სამკაულთათჳს პატიოსნისა მონასტრისა ხახულისა“)⁴².

ანდერძში დაღდასტურებული რეაღიები – იქნება ეს ხელნაწერის დათარიღებისას ერთი მხრივ – ბიზანტიის, ხოლო მეორე მხრივ – აფხაზთა და ქართველთა და კახეთ-პერეთის სიუზერენთა ერთად დასახელება, რომანას მონასტერში ქართველი მწიგნობრის მიერ კახეთისა და რანთა სამეფოს მმართველი ოჯახის წევრის, აბაზის სახელსე ძიროვასი სახარების შექმნა, რომელიც გარეჯელი ბერის მიერ სულიერ შეიღად იწოდებოდა. შეიძლება ლიითუაღოს იმის კიდეე ერთ დაღდასტურებად, რომ კვირიკიანთა ღინასტიის მეფობის პერიოდში კახეთი და რანი კელაღინდებურად ქართულ ქვეყანად მოიარსებოდა, შესაბამისად, უცელელად რნებოდა აფხაზთა და ქართველთა სამეფოებისა და კახეთ-პერეთის უთნიკური, აღმსარებლობითი და კულტურული ერთიანობა.

XVI საუკუნეში ოთხთაღი ბიზანტიაში აღარ ინახება, იგი სამხრეთ საქართველოში, შაღმუთ-კღარჯეთის ერთ-ერთ მონასტერში ჩანს დაცული. ამას აღდასტურებს მინაწერები, რომლებიც რამღენიმე აღგიღას, ძირითაღად, სახარების თაღისუფაღ გვერღებსა და ერთ-ერთი კამარის ქვეღა აშიაზე შეუტანიათ. მინაწერების ეს ჯღგუფი შინაარსობრიუად მოსახსენებღების იმ ტიპს მიეკუთენება, რომლებიც სახარებაზე დაღლოცვის ტრადიციას უკაღშირღებოდა; ამგვარი მოსახსენებღების ნაწერა ნეეუღებრივ სახარება-სამოციქუღოს ცაღკეუღი საკითხაღების გარშემო არეებსა და თაღისუფაღ გვერღებზე ხღებოდა, ხოლო შეტანიღი მოსახსენებღების ერთიანობა მატინებს ანუ სინოდიკონს ქმნიღა. ამის თაობაზე თაღად სახარების ერთ-ერთ მოსახსენებღშია მითითებული, საღაცეე უკითხუღობთ: „სახარებისა წარკითხეათა ზეღა დაღლოცეათ განგვწესებია და სახარებასა შინა დაგვწერია ეგრეთეე ყოვეღთა თაღსა ზეღა დაეწერღეთ ესე...“ მოსახსენებღებში დასახეღებული პირები: იეანე ათაბაგ-ამირსპასაღარი და მისი ოჯახის წეერები, ღიღი მეფეთ-მეფე და ღეღოფაღთ-ღეღოფაღი ეღისაბეღ-ყოფიღი ეფროსინე, ტანბაგარის ღეკაიოზი

⁴¹ გ. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გე. III.

⁴² ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, გე. 117 (თაღი 35-ბ).

იორდანე იორდანიძე, კუმურდოელი მთავარეპისკოპოსი გერასიმე ღვინასძე⁴¹, პარხთ მოძღვარი მაკარ გაბელისძე⁴² კარგად არიან ცნობილი კლარჯული სულთა მატიანეების მოსახსენებლებიდან, მათ სახელზე ასევე არაერთი ალაპ-მოსახსენებელია დადებული ჯერის მონასტრის ალაპებსა და სინას სულთა მატიანეში⁴³. მოსახსენებლები საათაბაგოს ისტორიის იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა ბაგრატ III იმერთა მეფემ (1510-1565) სამცხე-საათაბაგო დაიპყრო, სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III (1516-1535) გელათს ტყვეობაში გარდაიცივდა, ხოლო ჯაყელთა მმართველ საგვარეულოში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ხანგძლივი ურთი-ერთში მიმდინარეობდა ყვარყვარე II დიდის (1451-1498) მრავალრიცხოვან მემ-კეიდრეებს შორის. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფეები ათაბაგთა სახლის მეთაურს მოხერხებულად უპირისპირებდნენ ალგილობრივ ოპოზიციურ ძალებს და მათთან კეთილმოყვრობით დაკავშირებული უმურველად ურიგებდნენ ჯაყელთა სახლის უმცროს წარმომადგენლებს ათაბაგ-ამირსპასალარის წოდებას. ძალაუფლების მოსურნე ყვარყვარე II დიდის მემკეიდრეებიდან მისი მეხუთე და მეექვსე ვაჟები: ორაეჟანდა და მანუჩარი და მათი შთამომავლები – ქაიხოსრო და იე-ანე ორაეჟანდას ძეები, მანუჩარ მანუჩარის ძე სამეფო ხელისუფლების მხარდამჭერი ჩანს და შეეშეთ-კლარჯეთში გამაგრებულნი აშკარად უპირისპირდებოდნენ ათაბაგთა სახლის კანონიერ მეთაურს ქაიხოსრო I-ს (1498- 1500). შემდეგ კი მის ძეს, ყვარყვარე III-ს (1500-1535). განხეთქილების გაღრმავებისათვის ასევე მნიშვნელოვანწილად უნდა შეეწყო ხელი ყვარყვარე II დიდის რიგით მეორე ვაჟის, მსუჭაბუკის მმართველობის პერიოდში გატარებულ საშინაო და საეკლესიო პოლიტიკას სამცხეში 1500-1516 წლებში. მსუჭაბუკის მსგავსად, მისი ძმები ორაეჟანდა და მანუჩარი და მათი ძეები, მათ შორის კი სენი მოსახსენებლების იეანე ათაბაგი (†1530 წლებამდე), დოკუმენტურ წყაროებსა და კლარჯულ და სინას მთის სულთა მატიანეების მოსახსენებლებში „ათაბაგად“, „დიდად“ და „ათაბაგ-ამირსპასალარად“ იწოდებიან და საათაბაგოში გაბატონების პროტენდენტები არიან.

სახარება საქართველოში ჩანს ვიდრე XIX საუკუნის შუახანებამდე, რამდენადაც ხელნაწერის საცაე ქადაგდის ფურცელზე შესრულებული ერთ-ერთი ბოლო მინა-წერი 1857 წელსაა (ნ. 1) შესრულებული. გარკვეული ხნის შემდგომ ხელნაწერი, როგორც ეტყობა, საქართველოდან გაიტანეს. თუ რა გზით მოხელა იგი XIX-XX საუკუნის მიჯნაზე ცნობილი კომერსანტისა და კოლექციონერის პეტრე შნიკინის კოლექციაში ცნობილი არ არის.

დამატება

მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ქართულ ოთხთავის (Цык. 760) სულთა მოსახსენებლები

⁴¹ მოღწეულია 1500-1503 წლებში კუმურდოელ მთავარეპისკოპოსის გერასიმეს საერთგულო პირობის წიგნი მიცემული ქართლის კათოლიკოს ევაგრესათვის, მსუჭაბუკის მიერ მისი კუმურ-დოში აღსაყდრებასთან დაკავშირებით (სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბ., 1961, გვ. 27-28).

⁴² მოძღვარი მაკარ გაბელისძე იხსენიება კლარჯეთში, დოლისყანის წარწერაში (წ. სხირტლაძე, უცნობი ეპიგრაფიკული მასალები საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციებიდან, მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, 1993, №2, გვ. 91-92).

⁴³ დ. კლდიაშვილი, ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები. სინას მთისა და სამხრეთ საქართველოს მონასტრების ხელნაწერების ალაპ-მოსახსენებლებში შესული ალაპ-მოსახსენებლები, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშ-რომი, თბ., 2005, გვ. 107, 153-155.

1. V ქაშარის ქვედა აშიაზე, XVI საუკუნის არაკალიგრაფიული, მენხერი, ეუთხოვანი, ნუსხური, განკეთილობის ნიშნების გარეშე, დამახასიათებელი ა-მეტობით:

საოსე ხააუტყე ქაქსე | ყნ ი ა ზ ე ბ რ ს ბ<ე>ყაო(ო)ყსე ქააზძესე ყნ ია

სუღსა კობაძესა რუსისა | შ(ეუნდე)ნ ღ(მერთ)ო და მის მ<ა>ეუღ(ღ)ესა როდამ<ა>სა შ(ეუნდე)ნ ღ(მერთ)ო.

2. f. 101, თავისუფალ გვერდზე, მსხვილი კალიგრაფიული ნუსხურით. განკეთილობის ნიშნად წინადადების ბოლოს იხმარება სამი წერტილი:

სოსე ხეოაუეხე ყუოსე (ჟ)იოუოთუტს ყნს ინ ზ ე | ბუსე ყუოსე რეჩს ყს ი[ნ], | ბუსე ბუაოთესე უაოფეჩქს ყნს ინ:

ს(უ)ღსა კალოთაზა შე(ი)ღსა (ე)ლღეუთერს შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ და | მისსა შვ(ი)ღსა იანეს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ, | მისსა მეუღლესა გუღღაქის შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

3. f. 311, თავისუფალი გვერდის ზედა ნახევარზე, ადრეული ლამაზი მწიგნობრული ნუსხურით. სავარაუდოდ ტექსტი შესრულებული უნდა იყოს ტექსტის ხელით:

თაძღე ზეჩოქაყყააზღს თოთაყყააზღ . | ეტღეოე უოქუაჩყ უოთაძღე საყოთძჩ | ეძეჩ : ზე ექეოო ჩოქოო . | ჩოქეყ : ეძეჩ :

თემცა დაიწერებოდა თითოეულად | არ(კაღა ე)სტონებ უ(ი)თ(ა)რმ(კა სო)ეღ(ა)მ(ა)ნ | ამან და ახლად წერილი | წიგნები, ამინ.

4. f. 311, თავისუფალი გვერდის შუაში, XV-XVI საუკუნეების გაკრული ხწორი ნუსხურით:

სოსე თესა(ქარსტყსე) [- - -]ქს | ბუსე ზ ე ბუსე ბუაოთესე | ჯეტბოთქრსე ყნს ინ ზ ე | ბეთოსე ყუოთესე ყაზეჩსე | ზ ე ბუსე ბუაოთესე ყაქჩრუტსე ყნს ინ : -

ს(ე)ღსა ღასე(რისი)სესა [- - -]სა | მისა და მისისა მეუღლისა | ჯარმელიქისა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ და | მათისა შეიღისა ბუღახისა | და მისისა მეუღლისა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

5. f. 311, თავისუფალი გვერდის მეორე ნახევარზე, გაკრული გაწაფული ნუსხური ხელით:

სოსე სუაძაქააუო ბთეაყესკააააზსე | იაჩრსე ბრსე უტსაბჟსე ყნს ინ . ბყეოთე | ზ ე ბრეოთე ბრსე ყნს ინ . ბთესე ბჟბეყტსე სოაბჟსე ყნს ინ . | იეტყსე ბაჩრსე ყნს ინ .

ს(ე)ღსა ეემერდოელ მთა(ვა)რებ(ი)სკობოზსა | ღეინას ძისა გერ(ა)სიმესა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. მშ(ო)ბ(ე)ლთა | და მიცეაღ(ე)ბ(უღ)თა მისთა შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. მ(ა)თა ღეაბჟრსა ს(ა)ღომეს შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ. | ღარ(ი)ბსა მ(ა)რინეს შ(ეუნდ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ.

6. f. 311, თავისუფალი გვერდის ქვედა აშიაზე, ძალზე წერილი კაღმით, ერთ სტრიქონად, კალიგრაფიული ნუსხურით:

საიქთ ბაბოაქსე უეყოთქსე ბეჩეჩსე ზ ე ბყაყოთე ბრსე ყჩბჩრსე ინ.

მ(ა)რეხთ მოქღუ(ა)რსა გაბელიძესა მაკარის და მშობ(ე)ლთა მისთა შ(ეუნდ)ნეს ღ(მერთმა)ნ.

7. f. 374, ქვედა აშიაზე, ანდერძის ტექსტის დასასრულს, კალიგრაფიული გაკრული ხელით:

სოსე სოქათოთოსე ბბრსე ბფთ ბფსე | ხრჩრსე ბბფოთ ბბფოსე უოსყბ | ყააფოსე უოფტსრსე ყნს ინ

ს(უ)ღსა ს(უ)ღ(ქ)რთხ(უ)ღისა ღ(ი)ღისა (?) მ(ე)ფ(ე)თ-მ(ე)ფ(ი)სა, | მ(ა)ტრ(ი)ნ(ი)სა

Resume


Darejan Kldlashvili

Gareja – Constantinople. Gospel Copied in 1070 in the Georglan Scriptorium of the Romana Monastery by Theodore Garejeli

In 2003, E. Dobrinina and I. Sterligova had published a Georgian Gospel (Úóê. 760) from the B. Shchukin collection of the Moscow State Historical Museum; the Gospel was dated to the 12th c. and ascribed to the literary school of the Black Mountain. At the same time, its vast colophon, which has preserved a number of interesting evidences, was not taken into consideration. The Gospel follows the version of St. George Mtatsmindeli, is of high level of execution, containing canon tables, images of the Evangelists, ornamented initial letters and headpieces.

As evidenced from the colophon, the Gospel was copied in 1070 by Theodore (who had been in Gareja and the monastery of St. Archangel), in the *Isichastirion* of the Virgin Megetona of the Romana monastery in Constantinople; Theodore had presented the Gospel to the ruler of Arkadiopolis, Abaz, who was the son of Gagik, king of Kakheti. The colophon also mentions four brothers of Abaz: King Agsartan (here: Khsartan), 31 years old and younger brothers (1 year younger one another) – Palda, Kvirike and Sedisav (Abaz is 27 years old). Romana monastery of St. Apostles was built by Basil I as a burial of St. Ilarion Kartveli in the 9th c., not far from the Sosten church of St. Archangel Michael (Theodore was most likely a monk of there). Romana monastery, as well as its *Isichastirion* and *Metochion*, were significant literary centres. Moscow manuscript copied by the monk (who had been in Gareja) for the ruling family of Kakhet-Hereti is an evidence of their wide cultural ties with the Georgian monasteries in the East and the West. Two other manuscripts copied in Romana (Clemaxis of John the Synaite, A-134, 1066 and Vani Gospel, A-1335, turn of the 12th c. to the 13th c.) also confirm closest contacts of Romana with Tao-Klarjeti, Mount Athos and Black Mountain.


As for the historical persons, mentioned in the colophon – Theodore Garejeli might be one of the scribes of the codes A-134, copied in Romana St. Ana *Isichastirion*, as well as author of one of the its colophons. One of the graffittis in Gareja desert might also belong to him. Noteworthy are evidences concerning Curopalates title held by King Agsartan, his age and age of his brothers, position of Abaz – later he was brother-in-law of Grigol and Abaz Bakur – their sister's husband. Likewise noteworthy is the fact that, apart from the Byzantine Emperor Romanos IV Diogenes and kings of Kakhet-Hereti of the Kvirike Royal Family, Bagrat IV is also mentioned – thus, Kakhet-Hereti is considered as one of the Georgian lands.




სურ. 1. ჯვარცმა. მოჭედილი ყდის ზედა ფრთა



სურ. 2. ვედრება აბაზის სადიდებელი წარწერით. მოჭედილი ყდის ქვედა ფრთა



სურ. 3. აყვავებული ჯვარი




სურ. 4. კამარა



სურ. 5. მათე მახარებელი




სურ. 6. მარკოზ მახარებელი



სურ. 7. ლუკა მახარებელი



სურ. 8. ლუკას სახარების თავსართი




სურ. 11. კამარა. ვატიკანის ოთხთავი



სურ. 12. საზედაო ასოები



სურ. 13. ავგაროზის ეპისტოლეს ტექსტი საზედაო ასოებით. ალავერდის ოთხთავი



სურ. 14. საზედაო ასოები. ვატიკანის ოთხთავი



სურ. 15. იოანე მახარებელი. იოანეს სახარების თავსართი



სურ. 16. მათე მახარებელი. მათეს სახარების თავსართი. აღავერდის ოთხთავი

